

(სსმ III, 24.10.2008 N 155 მუხ. 1529)

რეგისტრირებულია
საქართველოს იუსტიციის
სამინისტროში
სარეგისტრაციო კოდი
220.090.000.18.011.012.262

**საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის
ბრძანება N 282
2008 წლის 13 ოქტომბერი ქ. თბილისი**

**„კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და
რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 10 აპრილის N 95
ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების
შესახებ**

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, 70-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2001 წლის 10 აპრილის N95 ბრძანება „კომერციული ბანკების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“.

2. ამ ბრძანების დაუყოვნებლივ ამოქმედების საჭიროება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ძალადაკარგულად გამოსაცხადებელი ბრძანებით რეგულირებული ურთიერთობები სსიპ „საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს“ კომპეტენციის სფეროშია და საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტომ მიიღო შესაბამისი მარეგულირებელი აქტი.

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

პრეზიდენტის მოვალეობის
შემსრულებელი

გ. ლლონტი